

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის სხდომის

ოქმი 26

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 57. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. თალიკო ჟვანია, პროფ. თამარ ხოხობაშვილი, სტუდენტი – დავით კერესელიძე. **წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგინთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცება – მასალა ყველას ხელთ გაქვთ. მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (იხ. დანართი 1).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სანამ დღის წესრიგის პირველ საკითხს განვიხილავთ, ორი სიტყვით შევხები გათბობის სისტემებს. გათბობა კორპუსებში დაიწყება ეტაპობრივად, რამდენიმე დღეში ჩაერთვება ყველა კორპუსი.

ეხლა რაც შეეხება წარმოდგენილ საკითხს – ბიუჯეტის შედგენის წესში, ჩვენ, შევეცადეთ ნათლად აგვესახა ხარჯვითი ნაწილი. განმარტებით ბარათში 2009 წლის ბიუჯეტი კიდევ უფრო მიუახლოვდა ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი პრინციპების განსაზღვრის რეალურ სურათს. განისაზღვრა ბიუჯეტი თითოეული ფაკულტეტისათვის. სტუ-ში რჩება სამი ფაკულტეტი, რომელიც ვერ ფარავს ხელფასებსაც კი, დანარჩენი თავის თავს ინახავს, იხდის გადასახადებს და კიდევ რჩება რაღაც გარკვეული თანხა. სტუდენტთა მიერ შემოტანილი თანხა იქნება ლოკალიზებული ერთ ყულაბაში და მოხმარდება ხელფასებს, დენის და წყლის გადასახადს და სხვა გადასახადებს, ხოლო დანარჩენი თანხა განაწილდება

ფაკულტეტებზე ხვედრითი წილის მიხედვით. I, II, III კურსების შემოსავალი ჩაითვლება მთლიანად, IV კურსი ნახევრად. ახალი I კურსის შემონატანი თანხა ნაწილობრივ ჩაითვლება. იქნებ მივმართოთ აკადემიურ საბჭოს, რათა მოგვაწოდოს ზუსტი რიცხვი, სტუდენტების კვოტა რამდენია 1500 სტუდენტი გვყავს თუ 2000? ცხადია, აქ შეიძლება დაისვას კითხვა – შეიძლება გაიზარდოს რიცხვი გადმოსული სტუდენტების ხარჯზე? განმარტებითი ბარათის ფინალური პუნქტი მიგვითითებს, რომ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემდგომ შემოსული თანხები (დაუგეგმავი შემოსავლები) განიკარგება შესაბამისი ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) პირობების გათვალისწინებით, დარჩენილი თანხების 30% ისევ ფაკულტეტებს მოხმარდება.

**პროფ. დ. ჯაფარიძე** – დავაზუსტოთ რას ნიშნავს ხვედრითი წილის 80%?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – მოგახსენებთ თუ რამდენს შეადგენს თითოეული ფაკულტეტის ხვედრითი წილი: სამშენებლო ფაკულტეტი – 7,7% (+153994), ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 14,4% (+13000), სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 5,4% (-115537), ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 7,9% (-75615), სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 14,4% (+414614), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 3,2% (-85595), ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი – 25% (+224732), ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 24,8% (+651611). დეკემბერში დაშვებულია შიდა მოძრაობა.

სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიასთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ წარმომადგენლობით საბჭოზე გამოგვეტანა საკითხი, რომ ჰუმანიტარულ-სოციალურ და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტებს ჩამოეჭრათ 2-2% თანხიდან.

**პროფ. გიორგი გოგიჩაიშვილი** – ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ ჩამოგვეჭრას 2%.

**პროფ. გენადი იაშვილი** – იგივე სიტუაციაა ჩვენთანაც.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია** – მინდა შევიტანო შენიშვნა მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში. წერია “ ამტკიცებს”, იქნებ დაგვეწერა “განიხილავს და ამტკიცებს“.

**პროფ. სერგო დადუნაშვილი** – მოსალოდნელი ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში არის თუ არა ბიუჯეტში ჩადებული მუხლი ამ სიტუაციის დასაფინანსებლად.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – არსებობს თანხები რომლებიც უზრუნველყოფენ ამას, მაგრამ როგორც ასეთი ფორსმაჟორული სიტუაციის დაფინანსება არ არსებობს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე დეტალურად განვიხილეთ უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფორმირება. ჰუმანიტარულ-სოციალურ და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების წილი დიდია. საუბარი იყო ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 370 000 ლარზე. აქედან 70 000 უნდა გადასულიყო საინსტიტუტო ხარჯებში. ისე რომ დიდი შემოსავლიდან ფაკულტეტებს თუ დააკლდება 2-3% ამით არაფერი დაშავდება, თანაც კომისიამ ამას ერთხელ უკვე დაუჭირა მხარი. იმ კორპუსებში სადაც ეს ფაკულტეტებია განთავსებული უკვე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, სხვაგან უფრო მეტი გაჭირვებაა.

**პროფ. ვანო ჭიაურელი** – რაც შეეხება რემონტებს, ეს გაკეთდა სამინისტროს ხარჯებით. კიდევ უამრავი პრობლემაა გადაუდებლად გასაკეთებელი, აუდიტორიები მოუწყობელია, არ არის სკამები. შევწყვიტოთ იმის ლაპარაკი, რომ ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი ტექნიკური უნივერსიტეტის გერია.

**პროფ. გივი გოლეთიანი** – რა, სამინისტროს ფული სხვა ფაკულტეტებს არ ეკუთვნოდა? მოზრდნდით პირველ კორპუსში და ნახეთ რა მდგომარეობაა.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია** – ცუდად მოხდა კონტიგენტის განაწილება, სამთო-გეოლოგიურმა ფაკულტეტმა მიიღო 5 სტუდენტი, ჰუმანიტარულ-სოციალურმა ფაკულტეტმა კი 100 სტუდენტი. სხვა ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ტექნიკური ინტელიგენცია აუცილებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს ტექნიკური დარგის სპეციალისტები.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – ჩემი წინადადებაა 2-2% დავაკლოთ ჰუმანიტარულ-სოციალურ და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტებს. საუბარია სულ 1,5 მილიონ ლარზე.

პროფ. ვანო ჭიაურელი – რატომ ამ 2 ფაკულტეტს, მაშინ პროპორციულად დავაკლოთ ყველა ფაკულტეტს.

სპიკერი – ჯერ კენჭისყრაზე ვაყენებ სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესს. გთხოვთ დააფიქსიროთ თქვენი ნება.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 42, წინააღმდეგი – 12, თავი შეიკავა – 3.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

#### წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი წესის, მე-2 მუხლის პუნქტი 2-ის შესწორების გათვალისწინებით, სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი, ერთხმად დამტკიცდა (იხ. დანართი 1).*

სპიკერი – ეხლა ვუყაროთ კენჭი შესწორებას შემდეგი ფორმულირებით, ვინ არის მომხრე, რომ ჰუმანიტარულ-სოციალურ და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტებს დააკლდეს 2-2%

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 18, წინააღმდეგი – 11, თავი შეიკავა – 28.

სპიკერი – საკითხი არ გავიდა.

სპიკერი – ეხლა ვაყენებ კენჭისყრაზე შემდეგ წინადადებას – ვინ არის მომხრე ყველა ფაკულტეტს მიეცეს შესაბამისი ხვედრითი წილი?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 36, წინააღმდეგი – 5, თავი შეიკავა – 16.

სპიკერი – საკითხი დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით დამტკიცდა:

სტუ-ს 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის მე-2 მუხლის მე-2-ე პუნქტი წარმოდგენილი იქნას შემდეგი რედაქციით: *“2009 წლის ბიუჯეტის პროექტით ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხარჯების დაფინანსების შემდგომ დარჩენილი თანხა ნაწილდება ფაკულტეტებს შორის, სწავლის საფასურის საერთო შემოსავლებში თითოეული ფაკულტეტის ხვედრითი წილის მიხედვით, აღნიშნული შეიძლება შეიცვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, რაც შეადგენს არაუმეტეს ხვედრითი წილის სრულ ოდენობას და არანაკლებ ხვედრითი წილის 80%-ს.”*

სპიკერი – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეორე და მესამე საკითხებს – სტუ-ს სამშენებლო და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტების სტრუქტურაში ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (იხ. დანართი 2,3).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სამშენებლო ფაკულტეტი ითხოვს ფაკულტეტის სტრუქტურაში ერთი საშტატო ერთეულის დამატებას, ხოლო ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი – 2 საშტატო ერთეულის დამტკიცებას.

პროფ. დემურ დანელია – მე ამის შესახებ პირველად მესმის, მე არაფერი გამიგია.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს უნდა განიხილოს ჯერ ფაკულტეტის საბჭომ, მერე გამოიტანონ ჩვენთან. როგორ შეიძლება ყოველ თვე ვზარდოთ ლაბორანტთა რიცხვი? რა საჭიროა ამდენი ლაბორანტი? მე ამ პროცესის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება ყოველ თვე საშტატო განრიგის შეცვლა. სანამ

დეკანები დასამტკიცებლად წარმოადგენენ ფაკულტეტის სტრუქტურას, ჯერ განსაზღვრონ რამდენი ლაბორანტი სჭირდებათ და შემდეგ წარმოადგინონ.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი** – ხომ არ აჯობებს საბჭომ თავი შეიკავოს ფაკულტეტების სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანისაგან და ეს ცვლილებები გათვალისწინებული იქნას ახალ სტრუქტურაში.?

**პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა** – ყველა ფაკულტეტის დეკანს მივცეთ საშუალება წარმოადგინოს ახალი სტრუქტურა და ერთი წელი აღარ იყოს საჭირო ამის განხილვა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა სამშენებლო ფაკულტეტზე ერთი საშტატო ერთეულისა და ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე ორი საშტატო ერთეულის დამატების საკითხი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 12, წინააღმდეგი – 9, თავი შეიკავა – 36.

სპიკერი – საკითხი არ დამტკიცდა.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

#### წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს სამშენებლო და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის დამტკიცების შესახებ (კერძოდ სამშენებლო ფაკულტეტზე კომპიუტერული სისტემების და ქსელის ადმინისტრატორის ერთი საშტატო ერთეულის დამატება და ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე ლაბორანტის ორი საშტატო ერთეულის დამატება).

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ზემოთ აღნიშნული ფაკულტეტების სტრუქტურაში განსახორციელებელი ცვლილებები არ დამტკიცდა, იმ არგუმენტით, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში ერთიანად და არა ცალკეული ფაკულტეტების*

*მიერ წარმომადგენლობით საბჭოს ყოველ სხდომაზე საკითხის შემოტანის საფუძველზე.*

სპიკერი – წარმოგიდგენთ დღის მეოთხე საკითხს – სტუ-ს ვაჟ ხელბურთელთა გუნდის შემდგომი საქმიანობის შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი. (იხ. დანართი 4).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს ვაჟ ხელბურთელთა გუნდს 2007 წლიდან აფინანსებდა სტუ – 52000 ლარით, იგივე გაგრძელდა 2008 წელს, მაგრამ გუნდს ჩვენთან ერთად აფინანსებდა კახეთის გუბერნატორი ბ-ნ გიანაცვლიშვილი. ის თანამდებობიდან ამჟამად წავიდა და დაფინანსება შეწყვიტა. 2009 წელს ჩვენ ამაზე მეტი თანხით ვერ დავაფინანსებთ გუნდს. უნდა გადავწყვიტოთ სტუ-ში მათი თანაცხოვრების საკითხი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში განვიხილოთ ეს საკითხი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს საკითხი ინფორმაციის სახით წარმოგიდგინეთ. ისინი მოგვაწვდიან ხარჯთაღრიცხვას და შემდეგ განვიხილოთ სათანადო კომისიაზე.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

#### წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ვაჟ ხელბურთელთა გუნდის შემდგომი საქმიანობის შესახებ. (იხ. დანართი 4).

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა:*

– სტუ-ს ადმინისტრაციას დაევალოს 2008-2009 სასწავლო წლებში ვაჟ ხელბურთელთა გუნდის დასაფინანსებლად სტუ-ს ბიუჯეტიდან საჭირო თანხების გამოყოფა.

**სპიკერი** – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხს – ს.ს.ი.პ. “მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – ელექტრონული მანქანების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” (მეტსი) ლიკვიდაციის შედეგად სტუ-ზე გადმოსაცემი სამრეწველო დანიშნულების ძირითადი საშუალების გადმოცემის საკითხის განხილვას და დამტკიცებას – მომხსენებელი სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსის მოადგილე ბ-ნ ჯემალ ალანია. (იხ. დანართი 1,2).

**ბ-ნი ჯემალ ალანია** – აღნიშნული ინსტიტუტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი მის ბალანსზე რიცხული ტექნიკური საშუალებების სტუ-ზე გადმოცემის შესახებ. აქ იყო ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, ტრანსპორტი. ეს ქონება მოძველებულია და გამოუყენებელი, მაგრამ იქ არის ჩარხები, რომლებიც პრაქტიკულად წარმოადგენენ კარგად ორგანიზებულ მინი ქარხანას. ჩემი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შეიქმნა კომისია პროფ. ოთარ გელაშვილის ხელმძღვანელობით, რათა შეესწავლათ ეს საკითხი. კომისიამ აღნიშნა, რომ ჩარხების დემონტაჟსა და ტრანსპორტირებაზე ის უარს აცხადებს. შეირჩა 83 ჩარხი და 8 დანადგარი. სტუ-ს უნდა გადაეცეს ანგარი თავისი ჩარხებით, 5000 მ<sup>2</sup> ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული ჩარხები, მანქანა-დანადგარები და ტექნოლოგიური მოწყობილობები მიზანშეწონილია გადაეცეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს იმ ფართთან ერთად, რომელზედაც განთავსებულნი არიან ისინი, რადგან დემონტაჟი, ტრანსპორტირება და მონტაჟი გამოიწვევს მათ მწყობრიდან გამოსვლას და გაართულებს ხელახალ ექსპლუატაციაში გაშვებას. ამასთან ერთად ყოველივე ეს დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, რაც დღეისათვის სტუ-ს არ გააჩნია. გადაწყდა: თუ ეკონომიკის სამინისტრო უნივერსიტეტს გადმოსცემს ანგარს თავისი ჩარხებით, მაშინ წინადადება ჩვენთვის მისაღებია, სხვა შემთხვევაში – არა.

**წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს**



2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსის მოადგილის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი ს.ს.ი.პ. “მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – ელექტრონული მანქანების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” (მეტსი) ლიკვიდაციის შედეგად სტუ-ზე გადმოსაცემი სამრეწველო დანიშნულების ძირითადი საშუალებების დამტკიცების თაობაზე.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ზე ს.ს.ი.პ. “მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – ელექტრონული მანქანების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” (მეტსი) ლიკვიდაციის შედეგად გადმოსაცემი სამრეწველო დანიშნულების ძირითადი საშუალებები, რომელიც ჩამოთვლილია დანართ 1-ში. აღნიშნული ჩარხები, მანქანა-დანადგარები და ტექნოლოგიური მოწყობილობები მიზანშეწონილია გადმოეცეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს იმ ფართთან ერთად, რომელზედაც განთავსებულნი არიან ისინი, რადგან დემონტაჟი, ტრანსპორტირება და მონტაჟი გამოიწვევს მათ მწყობრიდან გამოსვლას და გაართულებს ხელახალ ექსპლუატაციაში გაშვებას. ამასთან ერთად ყოველივე ეს დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, რაც დღეისათვის სტუ-ს არ გააჩნია. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს არ გააჩნია აღნიშნული ტექნოლოგიური მოწყობილობების განლაგებისათვის საჭირო სამრეწველო ფართობი (4000-5000 კვ.მ.) და მათი დასაწყობება ღია ცის ქვეშ გამოიწვევს მათ კოროზიას და საბოლოოდ მწყობრიდან გამოსვლას. ეს კი ზიანს მიაყენებს როგორც სასწავლო პროცესს, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ქვეყნის ეკონომიკას. (იხ. დანართი 1).*

სპიკერი – ინფორმაციის სახით წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხის პირველ პუნქტს – სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების 10 თვის შედეგების შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი ბ-ნ გია ნადარეიშვილი. (იხ. დანართი 6).

გია ნადარეიშვილმა ისაუბრა სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებზე და ასევე აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ადმინისტრაცია ვარაუდობს გარკვეული მუხლების ეკონომიის ხარჯზე წლის ბოლოსთვის სტუ-ს თანამშრომლებისთვის ხელფასის ფონდის გაზრდას წამახალისებელი პრემიების გასაცემად, რაზედაც დამატებით გამოტანილი იქნება საკითხი წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

**სპიკერი** – ინფორმაციის სახით წარმოგიდგენთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხის მეორე პუნქტს – სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერის სექტორის მუშაობის შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერის სექტორის უფროსი ბორის გითოლენდია.

**ბორის გითოლენდიამ** მოხსენება წარმოადგინა ვიზუალური მასალის თანხლებით. მან საბჭოს წარმოუდგინა აღნიშნული სექტორის მუშაობის წლიური ანგარიში. (იხ დანართი 7)

**პროფ. მარინა ქურდაძე** – შემოვდივარ წინადადებით, რომ ყველა სექტორმა წარმოადგინოს ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ.

**მიმდინარე საკითხები:**

**სპიკერი** – მიმდინარე საკითხებში მინდა მოვიწვიო სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სასწავლო-სამეცნიერო საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე პროფ. იგორ კვესელავა.

**პროფ. იგორ კვესელავა** – უნივერსიტეტში ეტყობა ზოგიერთმა ვერ გაიგო წარმომადგენლობითი საბჭოს უფლება-მოვალეობები. სასწავლო-სამეცნიერო საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეამოწმოს მაგისტრატურის სადიპლომო ნაშრომები. გთხოვთ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიის წევრებს მიეცეს უფლება განახორციელონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, ამასთან თითოეული ფაკულტეტი ვალდებულია მიაწოდოს ზემოთ აღნიშნულ პირებს სასურველი ინფორმაცია მაგისტრატურის ნაშრომებთან დაკავშირებით.

**სპიკერი** – ჩვენ უნდა შევადგინოთ შესაბამისი მიმართვა ფაკულტეტების დეკანების სახელზე, რათა საბჭოს წევრებს შეუწყონ ხელი მასალების შესწავლაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სასწავლო-სამეცნიერო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი მაგისტრატურის ნაშრომებთან დაკავშირებით ფაკულტეტებიდან მისაღები ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა, რომ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სასწავლო-სამეცნიერო მუდმივმოქმედი კომისიის წევრებს მიეცეს უფლება შეისწავლონ შერჩეულ ფაკულტეტებზე სამაგისტრო ნაშრომების შესაბამისობა წაყენებულ მოთხოვნებთან, ასევე თითოეული ფაკულტეტის ადმინისტრაციას დაევალოს მიაწოდოს ზემოთ აღნიშნულ პირებს შესაბამისი ინფორმაცია მაგისტრანტების ნაშრომებთან დაკავშირებით.*

სპიკერი – ასევე მინდა მოვიწვიო სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს იჯარების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე პროფ. ნოდარ ქაჯაია.

პროფ. ნოდარ ქაჯაია – მინდა მოგახსენოთ, რომ კომისიამ იმუშავა იჯარით გაცემული ფართების შესწავლაზე, მოხდა ამ ფართების დაზუსტება. აღმოჩნდა, რომ 14 ობიექტი საერთოდ არ იყო დაფიქსირებული წარმოდგენილ ნუსხაში, უზარმაზარი ფართები გაცემული იყო ცენტებად 1 მ<sup>2</sup>-ზე. საჭიროა შევადაროთ ფართები, ხელშეკრულებების ასლები და თითოეულ ობიექტზე შევამოწმოთ მრიცხველების გამხოლოება. გასული წლის იანვრის თვეში ელექტროენერგიაზე უფრო მეტი დანახარჯი იყო ვიდრე სხვა თვეებში, მაშინ როდესაც იმ დროს ჩვენ არ ვმუშაობდით. ეს აუცილებლად უნდა შემოწმდეს. უნდა შემოწმდეს რამდენად სწორად და დროულად იხდიან ისინი ფართის გადასახადებს და ასევე კომუნალურ გადასახადებს. მე, როგორც აღნიშნული კომისიის

თავმჯდომარე, გთხოვთ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას რის საფუძველზეც კომისიის წევრებს მიეცემა უფლება შეასრულონ ზემოთ აღნიშნული სამუშაო.

სპიკერი – ჩვენ უნდა დავწეროთ მიმართვა მეიჯარეების სახელზე, რათა მათი მხრიდან დაბრკოლება არ შეექმნათ კომისიის წევრებს ობიექტების შესწავლის პროცესში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა 7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 12 ნოემბრის 26 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს იჯარების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს მიერ გაიჯარებული ობიექტების ხელმძღვანელებისაგან მათთვის სასურველი ინფორმაციის მოწოდების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა, რომ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს იჯარების შემსწავლელი კომისიის წევრებს ნება დაერთოს ადმინისტრაციის შესაბამისი ქვედანაყოფებისა და მოიჯარეებისაგან მოიპოვოს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებიც ეხება სტუ-ს კომერციულად დატვირთულ ობიექტებს.*

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,  
ასოცირებული პროფესორი

/გინა გურეშიძე/